ფასი 10 კაპ.

მათრახი

სახუმარო გაზეთი

№ 2

კვირა, 7 სექტემბერი 1908 წ.

სამი გმირი.

სამშობლო კერა კვლავ ღვივის,
კვალად ყავს მამულს გმირები,
შორს მჭვრეტელობით მტერთაცა
გამაოც-გამაკვირები.
ვითა ავთანდილ, ტარიელ
და ფრიდონ ზღვათა მპყრობელი,

სამია, სამნივ პეტერბურგს
თვალ-ყურთა მიმაპყრობელი...
მუნით ელიან გმირები
მამულის აყვავებასა,
,,საფუთო კაპეიკებით“
ნავთ-საყუდელთა გებასა.

წავიდნენ... ბევრი იარეს
თანხმობითა და მმურათა,
თავს არ ზოგავდენ გმირები
ერთ-ურთის დასამურათა.
მაგრამ არ სმინავს ეშმაკსა,
სურს გმირთა გადაკიდება,
სურს დაბნელოს ბოროტმა
ჩვენი სამშობლოს დიდება.
შავი ქვის გმირსა წაჰკიდა
შავი ზღვის დევი ბაყ-ბაყი,
ჩააქოჩრინა ერთ-ურთი,
საქმე დამართა საჯაყი.
გააცალპირა ფრიდონიც,
დასვა ოცნების ამარა,
საფუთო ბუზმა იხელთა,
გაჰკვეთა ცისა კამარა,
და დაგვიტოვა გმირები
პირ-ჩალა-გამოვლებული,
შესტირის ჭიხთურასა
ფოთისა ბუხტი ქებული.

ტარანა.

პირველი წლის თავი

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებისა.

კვირას 31 აგვისტოს, მთაწმინდის ეკლესიის გალავანში ილიას ხსოვნის პატივ-საცემლათ დიდ-ძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. განსვენებულის საფლავი მწვანე ტოტებითა და ყვავილებით იყო შემკული.

წირვის შემდეგ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა ლეონიდემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და უსაყვედურა ქართველ საზოგადოებას ის გულ-გრილობა, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოიჩინა ილიასადმი. ის წუთიერი გატაცება, რომლითაც მიეგებენ ილიას ფონდის საქმეს და ბოლოს კი დავიწყებას მისცეს თავისი დაპირება. დასასრულ, თანახმათ ქართული ანდაზისა „მადლი ჰქენ, მარილიც მოაყარეო", ყოვლად სამღვდელომ თავის „მადლს" იმდენი მარილი მოაყარა, რომ მდაბიო ენით თუ ვიტყვით, სიტყვა კიდევაც გადაამლაშა. ეს ჩვეულებრივი შემთხვევაა, როცა ადამიანი თავის სიტყვებს სავსებით გრძნობას უმორჩილებს ხოლმე და ამიტომ ყოვლად სამღვდელო ლეონიდესაც მიეტევება.

პანაშვიდის შემდეკ, წინაალმდეგ საერთო მოლოდინისა, მხოლოდ ერთად ერთი სიტყვა წარმოსთქვა, ბ-ნმა ალ. მდივანმა. სამწუხაროთ ჩვენ არა გვაქვს შეძლება მდივანის სიტყვის შინაარსი გავაცნოთ მკითხველებს, ვინაიდან ვერ გავარჩიეთ ჩინურსა თუ არაბულ ენაზე ლაპარაკობდა ბ-ნი ორატორი. ყოველ-შემთხვევაში ის კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას რომ ქართული არა ყოფილა.

ბ-ნი მდივნის სიტყვის შემდეგ ხალხი დაიშალა.

* *
*

(რუსულიდან).

გახსოვს თუ არა, როკა ურთიერთს
ვეთხოვებოდით დღის დასასრულსა?
სალამოს ჰექამ გაიხმაურა
და მღელვარება შთაგვიდგა გულსა;
მაშინ სხივები უკვე ჰქრებოდა,
სკლათ ედებოდა ღრუბლები ზღვასა,
ჰექა სისწრაფით გასხლტა არეში
და უფსკრულს იქეთ შეაკვდა ხმასა!..
დღის შრომის შემდეგ ეხლა მე ხშირად
შენზედ ვოცნებობ, შენ მაგონდები,
მოხეტიალე უდაბურ წყლებთან
სალამოს ჰექას კვლავ უკვირდები;
და როს ხანდახან, დრო გამოშვეეით
ყრუთ მხდის ხნიერი წყლისა ტალღები,
მე ვსტირი... მარად ვიხრჩობი სევდით
და მათთან სიკვდილს შევვენატრები..

რ. ლეჩხუმელი.

ხოლერის მოღვაწეობა.

თუ საагენტოს ცნობებს დაუჯერებთ, ოთხი დღის განმავლობაში ე. ი. 30 ენკენისთვიდან 2 სექტემბრამდე რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში ხოლერით ავათ გამხდარა ათას, რვაას ოც და ათი (1830) კაცი. ამათგან მომკვდარა მხოლოდ ექვსას ორმოც და თოთხმეტი (654).

ამავე ხნის განმავლობაში ადგილობრივი გაზეთების ცნობებით თფილისში ავათ გამხდარა ხოლერით ოცდა რვა კაცი, რომელთაგან მომკვდარა მხოლოდ სამი.



ახალი ამბები

სამშობლო ტანჯ. კა. ერთ-ერთ ხონელ ვაჭარს მოუგონია სრულიად ახალი სისტემის სასწორი. განსაკუთრებული ღირსება ახალ გამოგონებულისა მდგომარეობს იმაში, რომ რამდენსაც ნაკლებს უჩვენებს საქონლის ყიდვის დროს, იმდენით მეტს აჩვენებს გაყიდვის ჟამს. თუ ეშველა რამე ჩვენს ვაჭრობას, სწორეთ ახლა.

სამშობლო მეურნეობა. შშვიდობით მიწის საკითხო! დდგილ-მამული ახლა ვისაც უნდა იმას ქონდეს. ოჯახის გამოსაკვებაათ საკმარისია სულ ერთი საქენი მიწა. ერთი საქენი მიწის შუაგულზე ამოიღებ ორმოს და ჩარგე შიგ ერთ მარცვალ ხორბალს. მარცვალი გაღვივდება, ამოვა. თითის სიგრძე რომ გაეზრდება წაყარი მიწას და ერთის ალაგას სამი ამოვა. პატარა ხანს შემდეგ კიდევ წაყარი და თითოზე სამ-სამი ღერი ამოვა. ამგვარათ ოცჯერ რომ მიწა მიაყარო ერთი მარცვლიდან მიიღებთ 74,401,740,327 ღერის თითო თავთავით. ეს სულ მხოლოდ ერთი საქენის მეოთხედზე. ხორბლათ რომ ვიანგარიშოთ, ერთი მარცვლიდან მივიღებთ 160288 ფუთს. ასეთი სასწაული ჯერ ივანე როსტომაშვილის მეტს არავის მოუგონია. თანაც ამ წესით აღზრდილს პურს მარცვლები ნესვის ოდენა ეზრდება, ხოლო თავთავი არა უმოკლეს შვიდი არშინისა.

სამშობლო ლიტერატურა. ცნობილი მწერალი ტიტ. ართმელაძე, ქართულ „სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას“ ძვირფას განძს უმზადებს. მას უკვე დაუმთავრებია შესანიშნავი რომანი ამ სათაურით: „საჭირო თუ არა თმის გაკრეჭა გურული ქალებისთვის, და შეესაბამება თუ არა ცხოვრების მომდინარეობის თვალთა ხედვის ისარს დდგასდელ ვითარებასს, რომ ჩვენი ქალები ადგილებს ბიეგოტს უცხადებენ და სასოგადოთ მომართულებას ამწვავებენ, წინააღმდეგ კამარტეველისა და ედფერის დაკავშირებისა მისდამი“.

როგორც სათაურიდან დაინახავთ, ნაშრომი მეტად საინტერესო და მასთან მარტივი ენით დაწერილი დარჩება. ვგონებ ეშველოს რამე ჩვენს დაძაბუნებულ სიტყვა-კაზმულ მწერლობას.

სამშობლო ხელოვნება. ქართული სცენის დაჩაჩანაკებაზე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი, თუმცა ულაპარაკოდაც ეს ყველასათვის ცხადი იყო. მომავალ სეზონისათვის ჩვენი თეატრისის დასი დ დ სამზადისშია თურმე. ყოფილი რეჟისორი ბ-ნი ვალერიან გუნია (უკაცრავათ მკითხველებთან!) კვლავ წინ გაუძღვება ქართულ ხელოვნების ტაძარს და კვლავინდებურათ განცვიფრებაში მოიყვანს ქართველ საზოგადოებას.

ამის თავდებია აგრეთვე ისიც, რომ დასში ჩარიცხული ცნობილი დრამატურგი და პუბლიცისტ-კორესპოდენტი „ნიშადურისა“ ბ-ნი ტიტიკო მგელაძე. როგორც ამბობენ ნიშადურში მოღვაწეობა იმ განზრახვით დაუწყია ჩვენი სცენის ამომავალ ვარსკვლავს, რომ რეჟისორ-რედაქტორის თავის მოქონვით, სცენისაკენ გზა გაეკაფა. ასე ძნელია ჩვენში სამოდვაწეო ასპარეზზე გამოსვლა. სცენამდე რომ ამაღლდე ამისთვის საჭიროა პირველთა „ნიშადურამდე“ დამდაბლება!

სამწუხარო მოვლენა. სახალხო განათლების საქმე განსაცდელშია. მოზარდ თაობისათვის საჭიროა ქართული სკოლა, ხოლო ქართული სკოლისათვის საჭიროა ამ ენაზე მოლაპარაკე მასწავლებელი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ორ ცეცხლ-შუაა ჩაეარდნილი. ეძებენ და ვერ აღმოუჩენიათ ქართულის მცოდნე ფედერალისტი მასწავლებელი, ხოლო „იმ ერთი მიმართულებისა“ ხოლერაზე მეტათ ეშინიანთ.

ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ.

არ თუ ძლევის ხმა თავისუფალი,
დროშა თამამად წინ მიმავალი,
ერთ მხრით ჩაგრულთა რაზმი მძლეველი,
იქით ძლეული ქვეყნის მტარვალი;
არ თუ გმირები, ძველად მონები
ამიერიდან თავისუფალნი,
მათთან სატრფონი, მათი რჩეულნი,
ცრემლ-შეშრობილი პირისუფალნი;
არ თუ ამირან, ჩემი ოცნება,
მის შავი ბინა, კლდე მიუვალი,
გულ-დაფლეთილი ყვავ-ყორნებისგან,
დღეით მარადის თავისუფალი,
სულ სხვა მესიზმრა:
იდუმალი ხმა,
ჯოჯოხეთური გამოძახილი
ისმოდა ქვეყნად და მჩაგვრელთაგან
იქედებოდა მწარე მახვილი!
ამირან გმირი, ჩემი ოცნება,
სატრფო ამირან, ისევ გმინავდა,
კვლავ ეხვეოდნენ ყვავნი-ყორანნი,
კლდეზე მიჯაჭულს თითქოს სძინავდა!..
თავისუფლების ჰიმნთა მღერალი
შავ სამარეში იწვა მრავალი
და ვით აჩრდილი ჯოჯოხეთური
დაჰხარხარებდა ქვეყნათ მტარვალი...
გამომეღვიძა—კვლავ კვნესა-გმინვა...
მიდამო ცრემლით გადაბანილი
ვსთქვი—რა სიზმარი? სიცხადე ვნახე
მხოლოდ სიზმარში გადატანილი!..

იესამნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ღ ვ ა ს.

ზღვავ, შენ წყნარი ხარ და ხმას არ იღებ,
მე კი შენს გულზე მშვიდათ ვნავარდობ...
არ ვეპუები მთრთოლვარე ზვირთებს,
შენს მოვერცხლილ გულს ვსერავ და ვაპობ...
ხან მარჯვნივ მივქრი, ხან კიდევ მარცხნივ,
დამასრიალებს მსუბუქი ნავი...
დავტოვე მიწა, შენ მოგებარე,
დავუგდე ხმელეთს დარდი მქენჯნავი.
იქ ვერ გავძელი, მომწყინდა ზღვაო,
უმოქმედობა და მხოლოთ ძილი,
შენ მოგაშურე, ზვირთების მშობელს,
და არ დამტოვო შენც განაწბილი.
წამოიჭერი, დაჰქე მთა-ბარს,
ზვირთისა მთები შორს გადასტყორცნე...
ნაპირს ეძგერე, კლდე შეარყიე
ფრიალოს გული გადაუკოცნე,
შორს გადმისროლე ჩემს ნავთან ერთად,
ქვესკნელს ჩამძირე, ზესკნელს ამაგდე,
და თუ შევშინდე, მძოვრათ ქცეული
სვავ-ყორანთ კერძათ ნაპირს გამაგდე...
მე მძულს, როდესაც ჩემს ნავის კედლებს
ეშხაპუნები, ეხლები ნელა
და ლურჯ წალკოტში მშვიდათ მწოლარე
ქანაობ, როგორც ნაზი პეპელა...
მე ტალღა მიყვარს, ტალღა ძლიერი,
ქვეყნის შემნძრევი, ლომებრ მქშინავი...
მიყვარს, როდესაც ელვასებრ გიჟათ
მთა-ბარს აწყდება ეს ჩემი ნავი...

ვ. მალაქიაშვილი.

მოხსენება გურული მოციქულისა.

უკუღმართ ფეხზე მომიხდა დღეს სამგზავროთ გამოსვლა: მთელ ზაფხულის განმავლობაში წვიმა არ მოსულა და სიმინდი ამოახმო, ეხლა კი, როცა ისევ უწვიმობა ჯობდა, ისეთი წვიმა მოვიდა, რომ მოსავალი მთლათ გაანადგურა. რას იზამ! ყველაფერი გურული გლეხის წინააღმდეგ მიდის თურმე...

ციხე. ხო და თუ ყველაფერი,—მაშ, რატომ არ შეიძლებოდა ზურაბ კეკელიძეც თავის შვილებით გზაზე მომუშავე ხალხს თავს დასხმოდა, რევოლვერი დაეშინა, შემდეგ თითონვე ბოქაულთან გაქცეულიყო და ორი კაცი დაეჭერინებინა. და ეს, კიდეც მოახერხა ზურაბმაო,—ამბობენ!.. მაგრამ, სამწუხაროთ და სავალალოთ, ჩაულბაო!.. ხალხმა გზაც გააკეთა, ბოქაულს დატყვევებულებიც გამოაშვებინა და უკანასკნელათ ბ-ნ ზურაბს თავიანთ გმირ-შვილებით, რომელთაგან ერთზე რალაც ქიათურის ცოდვებსაც ამბობდენ,—საუკუნო სახსოვრათ ბოიკოტიც მიუძღვნაო!.. როგორც ხედავთ, ზურაბ კეკელიძეს ცოტა „საჯაყი“ საქმე დამართია!..

გურიანთა. მაგრამ, თუ ზურაბს „საჯაყი“ საქმე დაემართა, სამაგიეროთ მიშა ნაკაშიძეს სურს თურმე, კარგათ მოაჭახრაკოს მუშების მოტყუება. მარა, უბედურებაც იმაშია, რომ მუშებს თვალი გაუხელიათ და... ვაი თუ მიშაც განაწყენებული დაგვირჩეს!...

ჩოხატაური. წარმოიდგინეთ, არც ჩოხატაურელ პარკის ვაჭრებს აქვთ გული საგულეს. ან კი რათ უნდა ქონდეთ, როცა ხალხს „მაზანდაზე“ არ გაუსწორდენ; მწონავი კომისიები არ მიიღეს; ასაწონი ორ-ორი კაპეიკი კი ხალხს გამოართვეს და თვით იჯიბეს. ახლა ლაპარაკია სამედიატორო სასამართლოზე და თუ შეყვენ თავი შით .. სახათაბალოა! არ შეყოფვენ და ისიც სახათაბალოა! ორ ცეცხლ შუა არიან საწყალი ვაჭრები!...

ოზურგეთი. ყველაფრის გამობრუნების იმედი შეიძლება ვიქონიოთ, მაგრამ ოზურგეთის რეაქციონერების უკანასკნელი „საქმე“ რომ ხელიდან წასულია, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა!.. გაიმარჯვეს „კრამოლნიკებმა“ და ვასილს თავის კომპანიითურთ არა და რა დარჩენია, თვინიერ კბილთა ღრჭენისა *).

აკეთი. თუ ყველა საქმეს რაღაც „ხლაფორთი“ მოსდევს, სამაგიეროთ აკეთელ კარტოჟნიკების საქმე ძალიან კარგათ მიდის. თამაშობენ მუდამ დღე შეუსვენებლივ და წარმოიდგინეთ, ხანდისხან ლექსებითაც შეებმიან ხოლმე ერთმანეთს! აი მაგალითად ერთი ამ სურათთაგანი:

„საყვარელო ძმაო ხოსო,
რას ტრაბახობ ტყულათაი,
კარტის თამაში ვიციო,
არ გაბედო აწი თქმაი.
სასესხებლათ ძლივს იშონე
ოცდა ორი მანათაი,
იგი ხელათ აგალოპე,
მე გახლავარ კიმოთაი!“

ასეთი შაირები ხშირია აკეთის კარტოჟნიკთა შორის... ჩვენ არ ვიცით, ვინ არის აქ მოხსენებული „ხოსო“ ან „კიმოთაი“, მხოლოთ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ცნობილი კარტოჟნიკები იქნებიან.

---

*) ვერ ვეთანხმები მოციქულს
ამა ამბისა თხრობაში,
ბორბალი რეაქციისა
კვლავ მოვა მოძრაობაში.

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეა საქმე ჯერ-ჯერობით და ვინ იცის რა იქნება მომავალში. ყოველ შემთხვევაში, პავლე თუ კარგათ დარჩა თავის მეუღლით, ასეთი ამბების იმედი მუდამ უნდა გვქონდეს...

ეშმაკის მოციქული.

ამონაკვნები.

ტურფავ, ვხედავ ლამაზი ხარ,
გარეგნობით მშვენიერი,
ისიც ვიცი, რომ თაყვანს გცემს
ბევრი ამა ქვეყნიერი,
მაგრამ მე კი ვერა მნახავ
მაგ სიტურფით ჭკუა მცდარსა,
ვერც მოვმართავ შენის ეშხით
სასიმღეროთ ჩემსა ქნარსა.
მე მაშინ მწამს სილამაზე
და ლოყები ვარდის ფერი,
როს თან ახლავს ამ სიტურფეს
სულიც მისი შესაფერი.
სილამაზემ თვით დაკვესოს
სულიერი ცეცხლი მწველი,
რომ აღვუნთო მსხვერპლათ მასვე
გულდრეკა და საკმეველი.
ეამისოთ მე ვერ შეეძლებ
ტკბილის გრძნობით ლექსთა მღერას,
არც განიცდის ჩემი გული
საალერსო სიტყვა ქალერას.
შენ კი, ვხედავ, დაჩვეულხარ
ეშხით თავის გასაღებას
და რათ ცდილობ, რომ ეს ქნარი
შენ გასხამდეს ქებათ ქებას?
არა, ტურფავ, მე სხეულში
ვეძებ სულსა მშვენიერსა,
მას ვუმღერი ძილის პირს და
ტკბილსა მრავალ-ჟამიერსა!

ფ. რუშაველი.

ზოგიერთი ვექილი.

ეს ვინ მოდის მორთული?
ვეფარ იცნობთ ვექილსა?
საპირფერო მოდვაწეს,
ტყუილ მამულიშვილსა?...
თუნდ სძარცვავდეთ ღარიბებს,
ობოლ-ოხერ-ტაიალსა,
ოღონდ ქანქარი მიე,
თქვენ კენ ციწყუებს ტრიალსა!
იგი მსაჯულების წინ,
უსირცხვილოთ ღრიალებს,
ღარიბს ღუპავს, მაგრამ
ფულებს ჩააჩხრიალებს!..
აბა ნახეთ, თუ სტუმრათ
სადმეა მოწვეული,
ვა, რა საკვირველადა
ორატორობს წყეული!
რა თავაზიანია,
თავ-დაპერით, ფრთხილია,
რა, ვერ მოახერხებს თუ,
მაშ რიღას ვექილია?!
ნამეტნავათ როდესაც,
ცოტა გადაკრულია,
მაშინ სანთლით დაეძებს,
სადაც დაჩაგრულია:
ამბობს:,, მსურს გავიტანო,
სიმართლისა კვალიო,
ღარიბთ მფარველობაა,
ჩემი იდეალიო! (!?)
ნიღაბს მოჰფარებია,
რომ არავინ დასცინოს;
რა შვილებს გვატყუილებს!
თითქო ვისმეს ეძინოს!..

მ. ლელაშვილი.

განცხრომის შვილს

მე არა ვსტარი! გულმის? არა განცხრომის შვილდ,
და ნურც გგონია სინანულის ტრფიალი დავფარო,
სულთა მხუთავო ჩემი შრომით კამოკვებილდ,
წარს ვერ შემახრი ულმობელდ და სიზიზღარო.
არც გული მიგვნესს სიმამაცით კამხნეკებულდ,
თუმც დაუძინარ მტრისკენ იგი ხშირად ჯნებულდ,
მაგრამ მსთანვე კშირული ხმით კიტცებულდ
და მუნ მომაკლდის იმედებით ადფრთოვნებულდ.
თუმც ჩვენის ტანჯვით დღეს შენ სტკებები, სიამით
ჭეხრობ,
მაშარადთა ოფლით ახრ დახშული დახინობ, ენეტარობ,
მაგრამ მოგა დრო კახრწნიდებს დაკასმარებს
მაშინ ჩვენც—შენსა მწარ გშინვაზე კადვეხარხარებთ.

გ. ქეჩრშვილი.

საშინელი ამბავი.
(მესტვირული)

მეგონა: გუდა ქამანჩა
კვლავ აღარ დამჭირდებოდა
და მიგდებული კუთხეში
მყუდროებითა ტკბებოდა...
მაგრამ შეხედეთ ცხოვრებას
რა უკუღმართად დგებაო
გურიას კვლალად ვითარი
შავი დღე დაადგებაო:
ნიკოლოზ თაყაიშვილი
სამსახურიდან დგებაო,
ოზურგეთიდან ლეჩხუმში
სურთ მისი გადაგდებაო...
პიი, პუუ, პიი ფუუ
ურჩიეს წაბრძანებაო.
სოფელსა, ამის გამგონსა,
თვალს ცრემლი არა შრებაო,
იმისი რეჩი, იმ ზომად
სულ ყველას ენატრებაო.
მოსთქვამენ: ნუ თუ ჩვენი მზე,
ასე უდროვოთ ქრებაო,
ჩვენც გვყავდეს ჭირისუფალი
ნუ თუ არა გვაქვს ნებაო...
ვიღას შევსთხოვოთ მის შემდეგ
ჭირშიგან დახმარებაო,
ვინ, ვინ მოსტაცა გურიას
ასეთი ანგარებაო"
პიი, პუუ, პიი ფუუ!
ასეთი ანგარებაო
თითონ ნიკოლოზ, ამბობენ
პეტერბურგს ემგზავრებაო,
რომ იქ „ბიძია სუვორინს"
მიართვას მოხსენებაო,
გააცნოს დალაგებულათ
ჩვენი მხრის ვითარებაო
რით დაწყნარდება გურიის
ბუნტი და მღელვარებაო,
რომ თუ ის გადაიყვანეს
გურია აჯანყდებაო,
პიი პუუ, პიი ფუუ!
გურია აჯანყდებაო.
ოზურგეთლებიც სტირიან:
„გვშორდება მზე და მთვარეო,
ძაძას ჩაიცვამს, შავ-ბნელსა
მთელი სამშობლო მხარეო,
ნეტა ვინ დაგვჭრა ყელები,
ვინ დაგვსვა გულმწუხარეო,
ვინ მოუწამლა ოზურგეთს
წამები სანეტარეო,
ვინ შეგვიწუხა ნიკოლოზ
ჩვენ ჭირთა მოზიარეო.
პიი პუუ, პიი ფუუ!
ჩვენ ჭირთა მოზიარეო.
იქ როგორ გასძლებს, ჩვენი მზე,
უყვარს მუცელზე გდებაო,
გაჭირვებულსა რო ნახავს
თვალს ცრემლი მოადგებაო,
(ან კი ღარიბი კაციდან
ვითომ რა გამოდნებაო)...
თუმც საიმისო არ შესწევს
არც სწავლა, არცა ცნებაო
გურიის ავი, თუ კარგი,
იმისი იყო ნებაო,
ვითა მექოთნეს, ქოთნისთვის
ყურები გამოებაო.
პიი, პუუ, პიი ფუუ,
ყურები გამოებაო.
ის არის ჩვენი დიდება,
ჩვენივე საკუთრებაო,
არ დავანებებთ ლეჩხუმლებს
თავი არ მოგვიკვდებაო;
პიი, პუუ, პიი ფუუ
თავი არ მოგვიკვდებაო.

ორბი.

ორი ეშმაკი.

სხვა-და-სხვა გზები.

პირველი ეშმაკი. სულო ბოროტო,
ეშმაკისა სახით შობილო,
ჭირსა და ლხინში
გამოჯეკილ-გამოწრთობილო,
დარიგებას გთხოვ,
არ გამრისხო, არ გამაწბილო:
რა გზას დავადგე
ცხოვრებაში, მარქვი ძმობილო.
თითონაც ხედავ
თუ დრო როგორ გადასხეფერდა,
წახდა ნერვები
და სურვილი ბრძოლის დაბერდა.

მეორე ეშმაკი. მაკვირებს შენი,
მეგობარო, განზრახულება!!
ნუ თუ არ გახსოვს
ქართველისა ხალხის თქმულება?!
იქ ნათქვამია:
„ნუ დასტოვებ გზასა ძველსაო,
ნურცა გამოცდილ
მეგობარზე ილებ ხელსაო“.
ძველთაგან, ჩვენში
„გზა სავაჭრო“ მხოლოდ ქებული,
და რაკი იგი
კვალად ჩვენსკენ მობრუნებული,
რაკი სოსიკო
მერკვილაძე მასში შებმული,
რაკი წვრილ-ვაჭართ
იდეალით გაშუქებული,
ჩვენი ცხოვრება
უკვე დამჯდარ-დალაგებული.
შესდექ იმაზე
და იარე დაუცხრომელათ;
კარგია ყოფნა
უდარდელათ და უშრომელათ,
მთელი პარიჟი
ამ გზაზეა დაფუძნებული
და ვალათ გვაძევს
ჩვენც განვკურნოთ ჩვენი მამული.

ვ ა რ ლ ა მ ს

(ნესვეთის რედაქციის გმირს).

რა მასხარა რამ ყოფილხარ,
ამოვარდა შენი ფესვი,
სად იშოვნე დელიყანდო
დასათხლეშათ მაი ნესვი?
ალბათ ბოსტნათ გარდაიქცა
რედაქცია დიდებული,
ერთ საზამთროს მეც მოგიძღვნი
თუ ვნახე მოძულებული.
ჯერ რეგვენო, ადრე კია
„ნიშადურში“ სამსახური,
„დურმი“მხანულ თეორიას“
ვერ შეიტკბობს შენი ყური!.
მეგობარო, თუ რომ გსურდა
მოსულიყავ ესდეკთ ოტ“ში,
ჯერ პრაქტიკა შეგეძინა
შენს საქებარ „მეედლის ჯოგში“,
თორემ ისე რას გაიწყობ
მოკუნტულხარ სადღაც ხონ“ში...
მათრახის კუდი გჭირია,
რომ ჩავარდე ვაჟო გონ“ში.

შხანკოლა.



ოსმალეთის კონსტიტუცია.

საფუძველი ოსმალეთის კონსტიტუციისა ადვილათ შეიძლება წაფერდდეს.



სცენის მოუვარენი სოფელში.

სოფლური სცენა.

(სოფ. ხიდისთავიდან)

სცენას დავესწარ სოფელში:
„დამარცხებულნი“ სდგებოდა...
„არტისტთა“ ჯგუფი, უებრო
ირთოდა-იკაზმებოდა,
(თუმცა ხედავდენ ეს საქმე
დღეს აქ არ გამოდგებოდა..)
ხალხი მოგროვდა „ურიცხვი“
და ფარდაც აიხდებოდა...
იქ „ნიკოია ლაქია“
თითის ფრჩხილებზე დგებოდა,
„პარგამის“ მუხლის შესახებ
ქალბატონს ედავებოდა,
ქალბატონს მოწყენილობით
უზომოთ ემთქნარებოდა.
„მოზღვავებული“ პუბლიკა
დაჯდომას ეჩქარებოდა...
მაგრამ სკამს ვერა პოვებდის
შეზობელს ეძალებოდა,
მოსთხოვდა, ის არ მისცემდა,
აყალ-მაყალი დგებოდა.
აღელვებული არტისტი
სცენიდან გადმოხტებოდა.
დააწყნარებდა პუბლიკას
უკანვე აცოცდებოდა,
წამოიწყებდა „პარგამას“,
აქ ჩხუბი კვლად დგებოდა!
ქალბატონს მოწყენილობით
„ნევრები“ აეშლებოდა,
თვით „ნიკოია ლაქიას“
კუჭიდან სული სძვრებოდა;
ფარდა ხან დაბლა, ხან მაღლა
დაეშვებ-აეხდებოდა.
„ბერდიაშვილი ნიკოლოზ“
უზომოთ გაჯავრდებოდა!
„დავითი“ ცეცხლსა აფრქვევდა,
„ზაქარო“ ყალხზე დგებოდა,
თვით უწყინარი „ელსაბედ“
არავის ჩამორჩებოდა,
მაგრამ არტისტთა ბაქიდან
არა რა გამოდნებოდა,
ჩხუბი კვლავ იყო ზალაში,
„პუბლიკა არა ცხრებოდა“.

რეცენზენტი.

მიწის მუშა.

მძიმე შრომით განაწამი,
ცხარე ოფლად დანაწური,
ზლეხი არის, მიწის მუშა
და მიწისვე უმადური.
მწარეზე მწარე მისი ხვედრი
თავსა აწევს სულს უხუთავს
და გასაქანს აღარ აძლევს
შეუჯაჭვავს, შეუხუნდავს!
უკან წავა,—უფსკრული ძევს,
წინ წასასვლელ გზას უჭრიან
და სუსხმფენი ქარტეხილნი
ზავო-ზუზუნით თავს დაჭქრიან!..
სვავ-სვუვი და ყვავ-ყორანი
საზარი ხმით გადმოსჩხავის
და წალკოტი სასოების
მისთვის სჭკნება, აღარ ყვავის...
მომავალი!.. მწარ აწმყოში
თურმც არ გაქრა სრულად რწმენა,
მაგრამ კლდესაც გააცამტვრებს
მარად ტანჯვა, მარად თმენა!...

ნ. ზომლეთელი.

სპარსეთი

სპარსეთის შახმა, მაჰომედ ალიმ, ჯერ კიდევ ვერ მოინელა ეგრეთ წოდებული „სპარსეთის კონსტიტუცია“. პოლკოვნიკი ლიახოვისა და მის მიერ გაწვრთნილ კაზაკთა რაზმის საშვალებით მან დაანგრია თეირანში მეჯლისის შენობა, სასტიკათ დასაჯა „ურჩი დეპუტატები“, აწამა ხალხის საყვარელი გმირები და ჩააცხრო თეირანის ცხოვრება, მაგრამ დახეთ უბედურებას: ლუკმა ძვლიანი გამოდგა და ქალაქი თავრიზი ყელზე დაადგა მადა გახსნილ ირანის მბრძანებელს.

საბდულ-ულემა-იმალიქი.
ცნობილი სახალხო ორატორი. რეაქციის დროს შახის ბრძანებით ნაკუწ-ნაკუწ დაკეპეს და ძაღლებს გადაუყარეს.

თავრიზი სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე სძევს და თეირანს შემდეგ პირველ ხარისხოვან ქალაქათ ითვლება. მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით 200000 სულს უდრის და მდებარეობაც მშვენიერი აქვს.

აი აქ, ამ ქალაქში გამაგრდა შახის რეაქციით გაბოროტებული კონსტიტუციონალისტთა ჯგუფი. გაბედული მეომარი სათარ-ხანის მეთაურობით.

სათარხანი.
თავრიზის გმირი. რევოლიუციონურ მებრძოლთა მეთაური. სპარსეთის გარიბალდათ წოდებული.

თავრიზელ რეაქციონერთა ძალა სუსტი აღმოჩნდა რევოლიუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მრავალ-გზის დამარცხებულმა მთელი თავისი იმედები თეირანის მაშველ რაზმებზე დაამყარა.

ამ ხნის განმავლობაში არც სათარ-ხანის მომხრეები ისხდენ გულ-ხელ დაკრეფილი. თუ თავრიზიდან მიღებულ ცნობებს დავუჯერებთ, კონსტიტუციონალისტებმა ჩინებულათ გაამაგრეს თავრიზის ქუჩები, შეიძინეს დიდ-ძალი სამხედრო სურსათი და ახალი რაზმები.

შახი სპარსეთისა ძლიერ დააფიქრა თავრიზის ამბებმა. ის კარგა ხანია კბილს ილესავს მათზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაურიგებია. მიზეზი ამისი მრავალია. უწინარეს ყოვლისა შახს აბრკოლებს ხაზინის სიცარიელე. მას არ მოეძევა იმდენი თანხა, რომ ჯარს წესიერათ ჯამაგირი აძლიოს და საჭირო სურსათი შეიძინოს. გარდა ამისა, სპარსეთი უგზო ქვეყანაა თეირანიდან თავრიზამდე რო რკინის გზა იყოს, სულ დღე და ღამის სავალი იქნებოდა, მაგრამ დღეს-დღეობით იქ რიგიანი შარა-გზაც არ არის და მგზავრს თითქმის ორი კვირე სჭირდება.

ამ ბოლო დროს შახმა უსმინა თავრიზელ რეაქციონერთა ღაღადს და სათარ-ხანის დასამორჩილებლათ გაგზავნა რაზმი პრინცი ეინ-უდ-დოვლეს მეთაურობით. ეს რაზმი კარგა ხანია რაც მიადგა თავრიზს, მაგრამ ბრძოლის დაწყებას ჯერაც ვერა ბედავს. სამაგიეროთ თავრიზის მიდამოებში მრავლად გაჩნდენ სპარსეთის ველურ ტომთა რაზმები, რომელნიც აუწერელ ბარბაროსობას ახდენენ უმწეოთ დარჩენილ სოფლების მცხოვრებლებზე. ყოველ-დღიური გაზეთები სავსეა, მაგალითად, გამხეცებული ქურთების მიერ აწიოკებულ სოფლელთა ამბებით. ისინი ყოვლად განუკითხავად იკლებენ სოფლებს, რაც კი რამ მოიძევება იტაცებენ, ქალებსა და და ბავშვებს ან ჟლეტენ, ან ცოცხლათ სწვავენ, ვინც გახიზვნას ვერ მოასწრეს, ყველას ატყვევებენ და სიცოცხლეს ასალმებენ, სოფლებს სწვავენ და ანადგურებენ.

თითონ თავრიზში შესვლას და იქ გამაგრებულ რევოლიუციონერებთან შეტაკებას ეს მტაცებლები ვერა ბედავენ და მათ თარეშს არცა აქვს რაიმე პოლიტიკური მიზანი. მათი საქმეა ძარცვა-გლეჯით მეტი დოვლათის შეძენა და უკეთეს დროს ამ სასახელო მოქმედებისათვის აბა როდისლა იშოვნიდენ. შახის სახელით, ისინი ქვეყანას იკლებენ და ეს თითქო ნებადართულიცაა, ვინაიდგან ამ ველურ რაზმებს სპარსეთის მთავრობა არავითარ სასყიდელს არ აძლევს: ისინი თავისი ნადავლით უნდა დაკმაყოფილდენ.

ამ წინა დღეებში თავრიზს მიადგა მაქოელების რაზმი, 800 კაცი 6 ზარბაზნით. მაქოელებმა მოახერხეს და შეიჭრენ თავრიზის ერთ უბანში, მაგრამ სათარ-ხანის რაზმმა ჩქარა აბრუნებია მათ პირი. მაქოელებმა მიატოვეს თავრიზი და მის მახლობლად სოფ. მარანდში დაბანაკდენ.

შახის ბანაკში კი აუწერელი ამბები ხდება: მინისტრები კრივს მართავენ ერთმანეთში, შახი ავადმყოფობს, მის დასაცველათ მოყვანილი ველური რაზმები ათას-გვარ უწესოებას ახდენენ, ხაზინა ცარიელობს, ხალხი ყრუ უკმაყოფილებას აცხადებს და შესაფერ მომენტს ელის.

ვნახოთ მომავალი რას მოგვიტანს.

სამი სურათი.

(სამათრახო სცენები სტუდენტთა ცხოვრებიდან)

ყველაფერი ის, რასაც ქვემოთ აგიწერთ, სიმართლესთან სწორია და სწარმოებს ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ქალაქში. მოქმედება სწარმოებს სტუდენტების სადგომში. სამი ოთახია:

პირველი,—მოზრდილი, მდიდრულათ მორთული, მარჯვნივ მხარეს დაიკავებს.

მეორე,—იმის გვერდით მოზრდილია; ისიც მდიდრულათ არის მორთული, მაგრამ შიგ ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია. სტოლზე არაყით სავსე ბოთლი და ჭიქები დგას, მეორე არაყის ბოთლს თავი წამტვრეული აქვს და იატაკზე გდია; სტოლზე სათამაშო ქაღალდი ყრია.

მესამე ოთახი,—მარცხნივ, ღარიბულათ მორთულია. ფანჯარასთან დგას ძველი, პატარა სტოლი, ზედ ლამპა ქაღალდის დამწვარ საფარით. კედელზე ძველი პალტო და ქუდი კიდია.

პირველ ოთახში დასეირნობს და ხმამაღლა მეცადინეობს კოხტად ჩაცმული სტუდენტი სტეფანე. მეორე ოთახში ტახტზე სძინავს ნამთვრალევ სტუდენტს გრიშას. ცალი ხელი და ფეხი ძირს აქვს გადმოვარდნილი. მისი ძველი ქუდი იატაკზე გდია. მესამე ოთახში სტოლს უზის და მეცადინეობს მწვანე ბლუზიანი სტუდ. პეტრე. მოქმედება იწყება,

პირველ ოთახში:

სტეფანე. (გულმოსული დააგდებს წიგნს სტოლზე) ფუი! ღმერთმა დასწყევლოს! არაფერი შედის ამ გოგრაში! ვკითხულობ, ვკითხულობ და ჯიუტი ჯორივით ისევ იმ ალაგას ვარ. ან კი როგორ ვიმეცადინო, როცა სულ ნატაშაზე ვფიქრობ! ახ, ნატაშა, ჩემი ნატაშა! როგორც იყო ხომ ვიგდე ხელთ? მაგრამ... საწყალმა რომ იცოდეს ჩემი ნამდვილი განზრახვა, ნეტა რას იზამს, ალბათ თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიკლავს. მერე რა რიგ ვუყვარვარ... მაგრამ რა ვუყოთ, ქვეყანა ტყუილებზე ტრიალებს. ცოლათ შერთვას შეევირდი, და ის კი არ იცის, რომ შემდეგ კი ვეურცხლავ და გავიპარები... სადაცაა კიდეც მოვა ჩემი ცუგრუმელა... და არ გაუშვებ სულ... გვიანამდის. ამიდამ მისი შმობლები სხვაგან მიდიან. (ბაბარაზს ამოიდებს, წამოწვება ტახტზე ბრალმა, თვალებს ჭერს მიაჯენს და ფიქრობს)

მეხავე ოთახში:

პეტრე. (შეწუეტს მეგდანეობას, მუტლდზე ხელს მოაჭერს, წამოდგება) ოოხ! კუჭი... კუ...ჭი, მშია... (დაჯდება) აბა როგორ უნდა ვიმეცადინო, როცა საში დღეა თითქმის არაფერი ჩასულა ჩემს პირში! ვაი, ვაი, ვაი! (წამოდგება და ისევ დაჯდება) პური მინდა, ვის ვთხოვო ფული? წავალ სტეფანეს ვთხოვ, მაგრამ არა! მისი მმრთებს! გრიშას ვთხოვ, მაგრამ ის მთვრალია, გუშინ მიიღო ფული, და გუშინვე დახარჯავდა! მაშ ვის ვთხოვო! ეფსე

, გიორგის? ამათ აქვთ, მაგრამ არ მასესხებენ. გრიშას, ნოეს? ესენი მასესხებენ მაგრამ არა აქვთ! ვაი, ვაი... მუცელი! (ადგება კიბედის) ზეგ ეგზამენი მაქვს... მაგრამ აგრე მაცალინეობა განა შეიძლება? Plenus venter non student libenter მაძღარი მუცელი სწავლაზე ყრუა! ჩუ! ვიღაც მოდის... ვინც უნდა იყოს, ვთხოვ მასესხოს... (ჯაკუნებენ) შემოდით!

(შემოდის მასპინძელი)

მასპ. თუ შეიძლებოდეს ოთახის ფული მიშოვეთ!

პეტრე. (მასპინძელთან ერთად) თუ შეიძლებოდეს, მასპინძელო ერთი კვირით, ფული მასესხეთ!

მასპ. თქვენ, ბატონო, თუ შეიძლება ოთახის ფული მოიტათ, თუ არა მიბრძანდით!

პეტრე. ოთახის ფული? ხო... კი!.. კარგი... მოგცემ, მაგრამ ახლა არა... ახლა პურის ფულიც არა მაქვს!.. არ გეკნებათ თქვენ ერთი მანეთი მასესხოთ და შემდეგ ერთი კვირისა...ერთად მოგართ...

მასპ. (შეაწუეტინებს) თუ ახლავ ოთახის ფული არ გიშოვიათ, იძულებული ვიქმენი ოთახი სხვას მივაქირავო, ეს იცოდეთ! (გადის).

პეტრე. (მიაფურთხებს) ფუი! რა ძაღლია! რა ვქნა?.. ოთახიდან მაგდებენ, თანაც მშია...მცივა... სუეუ.. ვიღაც მოდის... (ჯაკუნებენ) შემოდით.

(შემოდის პეტრეს ამხ. ვანა).

პეტრე (ორივე ერთად ერთმანეთს კითხავენ)
ვანა. ბიკო? ნიმშილით ეკვდები ფული ხომ არ გაქვს?!

პეტრე. (შეტლდზე ხელს იდებს). ვაი შენს პეტრეს. ბიკო კუჭი მიხმება, კუჭი...

ვანა. (შეტლდზე ხელს იდებს) ეჰ, შენთან ხერი არ არის! დღეს, მთელი დღე დავდივარ...ვერსად ვიშოვე...მშვიდობით... ვივლი კიდევ, სანამ სული მიდგია! თუ ვინმემ მასესხა, გამოგიელი! ხო, ბიკო, ახალი ამბავი იცი? ქუთაისის თავად-აზნაურობას უკვე დაუნაწილებია სტიპენდიები, ჩემთვის ვარი უთქვამთ, როგორც მდიდარისთვის. გრიშასთვის კი დაუნიშნავთ.

პეტრე. რას ამბობ კაცო! მაგრამ განა შენც გქონდა იმედი? სტიპენდიების განმანაწილებელ კომისიაში მამა შენი ერია?

ვანა. არა!

პეტრე. ბიძაშენი?

ვანა. არა!

პეტრე. შენი ძმა?

ვანა. არა.

პეტრე. ბაბუაშენი?

ვანა. არა!

პეტრე. მაშ რის იმედი გქონდა შე დალოცვილო.

ვანა. ვიცოდი ძმაო და იმისთვისაც არ გამკვირებია (გადის).

მეოთხე ოთახში:

(გრიშა გადმობრუნდება, გადმოვარდება ტახტიდან, წამოსწევს თავს, ერთს დაიხვნეშებს და ისევ ჩაეძინება იატაკზე).

პირველ ოთახში:

სტეფანე. (წამოდგება) ახ! სად არის ნეტავ ამდენხანს? (ჯაკუნებენ, ადებს კარს, შემოდის მოსაესხურე გოგო, ეკვ შემოქვს) ფუი!

მოს. მართა. არ გნებავთ, ბატონო!

სტეფ. ხო, მანდ დადგი, გააწყეე სტოლი და წადი! (მრთა გაეწყობის სტოლს და წავა)

(შემოდის ნატაშა)

სტეფ. ახ, ჩემო ტურფავ! სადა ხარ ამდენხანს? (გადაეხვევა) შენს ლოდინში ლამის გული შემიღონდა (კოცნის).

ნატაშა. სტეფანე ჯან! ჩემი მშობლები ჯერ არ წასულან, ძლივს დავუსხლტი ხელიდან.

სტეფ. აბა! ნატაშა, ყავა დაასხი, დავლიოთ!

ნატაშა. ჩვენ ეს არის ვისაუზმეთ!

სტეფ. მართალი გითხრა არც მე მინდა, ყიამდის მაძღარი ვარ! აბა, ტკბილეულობა ვჭამოთ. (მიაწოდებს, ჭამენ).

ნატ. (დაჯდება სტეფანეს გვერდით). სტეფანე ჯან, ეს რა გიქნია, რამდენი რამ გიყიდია, რა საჭირო იყო?!

სტეფ. (გადაეხვევა, ჭოცებს) აბა შენზე უკეთესს ვის ვუყიდდი, ჩემო გვრიტო! აგერ რომ გავთავეს სულ იადონსავით გასაზრდოვებ. აბა ერთი გიტარა დავალიღინოთ. (გადმოიდებს გიტარას, უკრავს თან ამღერებს):

„Не уходи, побудь со мной,
Здѣсь такъ отрадно, такъ свѣтло,
Я попѣлуями покрою уста и очи и чело..
Побудь со мною, побудь со мною!"

(გადაეხვევიან, ეოცნიან ერთმანეთს;—შემდეგ სტეფანე გადასცემს გიტარას ნატაშას) ა, ახლა შენ დაუკარი და დაამღერე, ჩემო ნატო.

ნატაშა. (ამღერებს):

„Не уходи, побудь со мною,
Я такъ давно тебя люблю...
Тебя я лаской огневою
И обожгу и утомлю!"

(კიდევ გადაეხვევიან და ეოცნიან ერთმანეთს, ნატაშა დადებს გიტარას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე. (უკრავს და ამღერებს):

„Не уходи побудь со мною,
Пылаетъ страсть въ моей груди
Восторгъ любви насъ ждетъ съ тобою,
Не уходи, не уходи!“

(ამბის გაკვირვებული ხმა ნატაშას დედისა: ნატაშა გამოუსხლტება ხელიდან სტეფანეს და გაიქცევა)...

მესამე ოთახში:

ბეტრე. (წამოდგება) ოი, ოი, ოი! კუჭი, კუჭი...(დაჯდება) არა, მეტის მოთმენა არ შემიძლია! ერთი კარგი აზრი მომივიდა, მოდი დავუთახეგ მოსამსახურე გოგოს, შევეხვეწეთ და გავგზავნი მეპურესთან. შეიძლება იმან მაინც მაღროვოს... (ეძახის) მართა, მართა!

(შემოდის მართა)

ბეტრე. ახ, მართა, ერთი შენ...

მართა. (შეაწუეტინებს, მეკითხეთ) რა გინდათ, რას მეძახით! კიდევ არ დაკავიწყდათ ჩემი სახელი! ამდენ ხანს ვერ გაიგეთ რომ მე თქვენ არ გემსახურებით, სანამ ფულს არ მომცემთ? ჯერ ფული მოიტათ და მერე დამიძახეთ! (მიდის).

ბეტრე. (ოთხისთვის) ოხ, დედაჩემო! (ეძახის) მართა, მართა! (მართა შემობრუნდება) მართა, დაიცადე, მომისმინე... შენც ხომ ისეთი უსინდისო არა ხარ, როგორც ჩვენი ძენწი მასპინძელი! შედი გაეცარეული კაცის მდგომარეობაში... სამ დღეზე მეტია სრულებით არაფერი მიჭამია... მაღროვე კიდევ ერთხანს... ფული თუ მომივიდა, ხომ იცი, პირველად შენ მოგცემ!..

მართა. ხო, კარგი, კარგი! რა გინდათ, რისთვის მეძახოდით?

ბეტრე. რასთვის? იცით რა? მიმეგზავნე ერთხელ კიდევ მეპურესთან, ჩადი და უთხარი მაღროვოს ერთი კვირით კიდევ და... ახლა ხუთი... პური გამომიგზავნოს ნისიათ!..

მართა. როგორ ხუთი?..

ბეტრე. ხო... ხუთი... გირვან...ქა!

მართა. მერე ხუთი გირვანქა რა ამბავია?

ბეტრე. ხუ...თი უთუოდ... ხუთი დღეა არაფერი მიჭამია.

მართა. ხო კარგი, კარგი. (მიდის).

ბეტრე. (მიაძახებს) იქნებ მეღუქნემაც მაღროვოს... და... შაქარი, ჩაი, ნავთი...

მართა. (ხმა სიცილით) ხო, იქნებ კიდევ გინდა რამე?

ბეტრე. (შეტკბაზე ხელს დაიდებს) ახლა ნუ გეშინია მუცელო, გამაგრდი! (დაჯდება სტოლთან და დაიწყებს შეტაბინობას) უჰ, რა ცივა!.. ნეტავ ამდენ ხანს შეშას რათ არ აგზავნის ეს ჩემი მყრალი ხაზინი? ვაი, თუ სულ არ გამოგზავნოს? (მოიხურავს სპპანს და დაჯდება) მართას რაღა დაეშართა... ჩუ... კიდეც მოდის. შემოდი მართა! შემოდი! (მიაკრდება კარებთან).

(შემოდის მეპურე)

ბეტრე. (თავში ხელს იცემს) ვ...ვ...ვ...აააააა! (მეპურეს) მობრძანდით!.. დობრძანდით! თქვენ, შეიძლება ერთ კვირას კიდევ მაღროვოთ...

მეპურე. (შეაწუეტინებს) თქვენ თუ შეიძლება, ფული მოიტათ ეხლავე! (მობოდეს დავოარს) თქვენზე ნახარჯია ცხრა მანეთის პური.

ბეტრე. (დადგხებუდი) ცხრა მანეთის პური!!!. ოხ, რა კარგია, აქ რომ მქონდეს ეხლა... თქვენ ბინო მეპურე! ყური მიგდეთ! ფულს უსათუოდ მოგცემთ, ოღონდ... დღეს... თუ შეიძლება, ხუთი გირვანქა...

მეპურე. (შეაწუეტინებს) თქვენ, თუ შეიძლება, ფული ეხლავე მოიტათ, თუ დღეს არ მოგიციათ ამ საღამოს უსათუოდ გიჩივლებთ! (მიდის).

(შემოდის მართა, შემოაქვს ბატარა ფორის ნაწერი)

მართა. მეპურემ არ განისიანა, არც მეღუქნემ, ა�ა, (აძდგეს ფორს) ეს მე გამოვართვი! (კადს)

ბეტრე. (ესეც კარგია ხარბათ ჭამს), ნახევარი კი ვანის უნდა შევუნახო! (ინახავს ნახევარს) ოხ, რა მცივა!..

(მეორე ოთახში, გრიშასთან მოსამსახურე ბიჭს ადექსის შეაქვს შუა და ფეხში ცეცხლს ანთებს).

გრიშა. (კბოედვიძება გულ-მოსული წამოვარდება, მიკარდება ადექსისთან, მოკიდებს კისერში ხელს, როცა ის კედელთანაა, შეიდს კედელზე მაარტემეანებს) შე პირძაღლო, რათ არ მაცალ ძილს! რას ჩადიხარ ამ ოთახში!

ადექსი. უკაცრავათ, მაპატიეთ, ჩემ�ბრალი არ არის ღმერთმანი!

გრიშა. ხმა გაკმინდე, აქედან გაეთრიე!

ადექსი. ეხლავე ბატონო (დახურავს ფეჩის კარს და ბეჭს.

(დასასრული იქნება)



ნუ მიცქერ, სატრფოვ!...

ნუ, ნუ მიცქერი, სატრფოვ, დამიდეთ!
ნუ მიკაკვამენ ჟეჟეს თვალებს.
ნუ მანუბევრეს, ადერსით ტკბილდეთ
მხოლოდ ბუნებ მახეს გამაწრეს ბრწყინვალეს!
ნუ, ნუ ადმძრეგ ტკბილ ამბებს
ნანატრ სიტყვიდან ტკბილ მოსვენებას!
არ ვიცი, ეკლვ რა წამომაკეთებს,
რომ დღეს მოგესწრო თავისუფლებას!
აქ ვერ ვხედავ მის ტკბილ-მოწყენებას!
ბანქრა... წუხდიადი დამესუდარა.
ფრთა შეეკვეტ დღეს ოდნებს
და ბუნებ დაჩნდა მწვადი ეარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქ, სადაც ვეძებ ვარდსა და იასს,
გზადებს ეკალი ქაცვ-კაბასრული!
ვერ ვუმკლავდები ცხოვრების ტრიალს,
შებორკილი ვარ და კაბაწრული!..
ჩემთვის არც მზეა და ალარც მთვარე,
თვალებსა სჯუტავს ბედის ვარსკვლავი,
დდეს გულიც კვნესის, ადრე მგზნებარე
და უდანოთ ძირს ეშვება მკლავი!..
ვერც მეგობარი, ვერც ამხანაგი,
ვერეინ მინდების მჭარ-გულის ძგერას.
შეკრთენ სიმები! სუსტდება ჩანგი
და სწვეტს ის თვის სასმო ყდერას!..
ოქ კი... როდესაც ცივი სამარე
გულში ჩამიკრავს და მიმიბარებს,
მივალიეშებს კარს არე მარე
და დამფერქვეგენ ტრემდი ნიადვარებს!..
მაგრამ რათ მინდა ტრემდი და ყდოვა,
თუ ულუდო ვარ მარტოა დეში,
რაცა ტანჯვები და ფიქრთა ბროვა
გულს მიწამდავენ ამ სიტიტხლეში?!
არა, ნუ მიტქერ, სტრფოვ, დამილეთ!
ნუ მიკამკამებ ეუეუნ თვალებს!
მაგ მოფერებით, ალერსით ტკბილეთ
უფრო მიჩადებ მწვედ ნაკვერჩხლებს!..

ნ. ზომლეთელი.

დაბა-სოფლები.

თელავი. ისე აგვესოთ ყოველივე დოვლათით ოჯახი, აკაური ციხე აღსავსე იყოს ყოველგვარი კატეგორიის ტუსაღებით. აი თუნდა მოისმინეთ:

„სამოცი ეკაცის ალაგას
ორასს გვითმობენ ბინასა...
სენი ეგახშირდა ათასი,
ვერ ვეირსებიავართ ქინასა“.

სანატარელი მდგომარეობა რომელ ციხეში ყოფილა, რომ მაინცა და მაინც აქ იყოს, მაგრამ ზოგან ეგადაჭარბება იციან ხოლმე. აი თუნდა მოისმინეთ:

შინ განამზადებ საქმელსა,
საღსა და ნაყოფიერსა
ჩვენთან არაკინ მოუშვებს
ვეტოვებენ ხახა მშიერსა.

და განა მარტო ესა? კიდევ სხვა ათასი უმჯობეს ამისა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ თევზის ამბავი?

თევზსა შეჭკითხეს კალმახსა:
—„რათ ხარ მდუმარე ასეო?“
—„ბარემც ბევრია სათქმელი,
პირი მაქვს წყლითა სავსეო“

ა—ლი.

—

დაბა სამტრედია. ჩვენი ვაპრების კაცთ-მოყვარეობა მთელ ქვეყანაზე ცნობილია. რამდენი ხანია ესენი კვირა-უქმე დღეობით ვაპრობის მოსპობაზე ზრუნავენ, მაგრამ არ იქნა და არა, ნოქრებმა არ შეისმინეს: ჩვენ არ შეგვიძლია კვირა დღის თავისუფლება მივიღოთო. ხედავ ამას და უნებლიეთ ფიქრობ:

„რა კარგია კარგი აღა
კარგ საქმეზე აგებული
უქმესა და საქმის დღეზე
დუქნის კარებ გაღებული!

იქიდანვე. ყოველივე სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, თითქო ადგილობრივი სკოლის მასწავლებელ ქალებს ჩხუბი მოსვლოდეთ.

„მხოლოდ ის კია მართალი
რომ მათ არ დაულხინესა
და რაღაც მოსაზრებებით
სხვა მხარეს გააფრინესა.

სა—ნა.

—

ოზურგეთი.

მო ყური უგდეთ მოძმენო
უსმინეთ ყვავსა ყვანჩალსა
რა რეჩი უთქვამს ოზურგეთს
რიკოკი სიტყვა ქაჩალსა:
მას ქამსა შინა, ოდესაც
დასრულდა არჩევანები,
ჩაშავდენ ოზურგეთისა
„მოობერ-გულიჯანები“,
წამოტვლინა ტრიბუნას
ვით ცისარტყელა ფერადი,
გურიის „ძეთა მახინჯთა“
უკვე ცნობილი ბელადი.
და მოჰყვა: „ყაზილარებო,
მაწანწალებო თქვენაო,
ვინდათ დაამხოთ ვასილმა
რაც ქალაქს აუშენაო,
გრცხვენოდეთ! თქვენთან არ გადი
არც ჩემი ტაბლი ენაო,
არც აფთიაქის უბნიდან
ქანქართა წამოშენაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც დეკანოზის ქადაგი,
აღარც დემეტრეს კბენაო,
არ გწამთ სამშობლო ქვეყანა
აღარც მეუფე ზენაო.
მიიიმასქნა ყრილობას
მოხუცმა სიტყვა-კეთილმა,
და დაუტოვა დარბაზი
ჭირშიგან გადაცვეთილმა.

ყვავი.

—

ეწერი. ჩვენი მწერალი გერმანე ძლიერ მოიქანცა მოზღვავებულ საქმეთაგან. ახლა კანცელარიაში ჯდომაც აღარ ყოფნის და გადის ქუჩაში რადგან:

შველის მცველებსა,
ებრაელებსა,
ის უფათურებს ბარგში ხელებსა
და თავის ნებით,
არა ბრძანებით
საქმესა თვისსა გაიძნელებსა.

ჩო—კა.

—

ს. ყაზბეგი. გვაკმარეთ რედაქტორებო,
რაც რომ ვითმინეთ დღემდინა,
დღეს კი აღივსო ფიალა
და კიდეც გადაეღინა.

შორს ვართ მთაში მივარდნილი და ჩვენს სოფლის თაგუნებს გონიათ: ვხრავთ, ვხრავთ, ხალის ჯიბეს, ხმას მაინც ვერავინ ამოიღებსო. ჩვეულებრივი ამბავია ჩვენში სოფლის ფულების შეიმასქნა და მშრალათ გამოსვლა.

აი თუნდ ჩვენი მიხელა,
და მისი მოძმე ნიკოლა,
ნახეთ სასოფლო ქანქარი
რამდენი გამოიყოლა.
ან ალი-ბეგი იაგორც
ხომ მთი მინაგვარია?
თავს იქ შეარგობს უცილოდ
სად ღია დახვდეს კარია,
მუსრი გაავლო ბატებსა
მოსპო იხვი და ვარია...

ხმას ვერავინ გასცემს რადგან ეშინიათ და არის კიდევაც საშიშარი.

ვის აქვს თავი
მოსაკლავი?

პაფირი.

—

შორაპანი. შორაპნელ მოქალაქესა
განცხრომით ჩაეძინება
რომ არ ისმოდეს დუქნებზე
პეტრე მქედელის გინება.

ახირებულია თთქვენმა მზემ! ყველაფერსა აქვს ზომიერება და ამას კი არავითარი. იქნებ მისი წახედულობით ახლა მათემაც ააყოლა ჰანგი.

შორაპნელი ბზიკი.

—

მუხიანი. „ეშმაკის მათრახის“ სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადიხადეს მუხიანისა და ოფშვეთის ვაჭარ-ბანკისტებმა. უზომოა მწუხარება მათი. იმედი აქვთ მალე მოუსწრობს მეორეთ მოსვლა და მკვდრეთით აღდგომა „ეშმაკის მათრახისა“.

—

ფოთი. ცხოვრება ასე ტრიალებს:
დღეს ღმე მოსდევს მუდამა,
ფოთის ტრამვაის არტელიც
გადაიტანა მადამა.
ქოიავას და ქასრაძეს
მოუნდათ პირის ტკბუნება...
(კეთილ ცხოვრებას მიელტვის
ყოველი კაცის ბუნება).
ტრამვაის კასას ქვეშიდან
ფარული ხვრელი ადინეს,
და მუნით წყარო ქანქართა
სიუხვით გამოადინეს.

როცა იგრძნო არტელის კასამ წყაროთა დაშრეტილობა და აღნიშნულ პირებზე ექვი მიიტანა, ისინი განსისხდენ ვითარცა იუპიტერი და სამედიატორო სამართალი მოითხოვეს.

შემოკრბა „სუდიც“—განსაჯეს
რაინდთა ნამოქმედარი,
და გამოირკვა გაფლანგულ
შეიდასიოდე ქანქარი.

ამბობენ,—ხათრით შეუმცირეს, თორემ გასავალი არც ასე პატარა იყოვო. ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია *).

ფოთელი დევნილი.

---

*) სამსჯავროს ამხანაგურსა
ასე სჩვევია ფაფუური,
რომ განაჩენში არ დასწვას
არც მწვადი, არცა შამფური.

ეშმაკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები

ქუთაისი. ქალაქის გამგეობამ ხოლერის მოლოდინისა გამო სასტიკათ აკრძალა რიონის წყალის ხმარება. სამაგიეროთ მსურველთ უფასოთ დაეთმობათ კიბულა და ლაღიძის წყალი. თუ ესეც ცოტა იქნება, მაშინ მოქალაქეთ შეუძლიათ იმ წყლის მილებით ისარგებლონ, რომლის მოწყობასაც ინჟ. მიხაილოვი აპირებდა და რომლის გეგმაც ქალაქის გამგეობაში ინახება.

ჭიათურა. შავი ქვა კლებულობს, შავი დღე მატულობს, საბჭო ერთ დონეზეა.

ბათუმი. სახალხო უნივერსიტეტი ქართული ეკლესიის ნანგრევებში აპირებს ბინის მოწყობას. ლექტორებს სტამბოლიდან იწერენ.

სოხუმი. ქალაქის გამგეობამ ერთხმათ დაადგინა ასესხოს ლონდონის მუნიციპალიტეტს შარშანდელი წლის წმინდა შემოსავლიდან 2 მილ. გირ. სტერლინგში. „ძმა ძმისთვისაო, შავ დღისთვისაო“!

ფოთი. როგორც ამბობენ, ბ-ნს ნიკოლაძეს განუზრახავს აღძრას დუმის წინაშე თხოვნა ფოთში გამვლელ-გამომვლელ მგზავრებზე საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ. ამ ფულებით განზრახულია ფოთისა და ოზურგეთის არხით შეერთება, რათა გაადვილდეს პირველიდან მეორეში ზაფხულობით ტარანის გადაზიდვა.

„მათრახის“ ფოსტა

თელავი. ალის. სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს წერილს, მაგრამ...

ქუთაისი. სეტყვას. თქვენი ლექსი „კარზე მადგას სალდათობა“ კარგია და სადღეისოცაა, მაგრამ ვერ დავბეჭდავთ ვინაიდგან სახელსა და გვარს არ აწერთ. მართალია, ასეთი ბუმბერაზების გადაკიდება მძიმე საქმეა, მაგრამ...

ბათუმი. კოდარას. თუ საჭირო იქნება რედაქცია თითონ გაცნობებთ. კარიკატურა არ დაიბეჭდება.

ნატანები. შუბს. თქვენი წერილი მიშა ნაკაშიძისა და ვექსილების შესახებ ჯერ-ჯერობით ვერ დაიბეჭდება. საჭიროა ადგილობრივ საქმის გამოძიება.

ხონი. რკოს. თქვენი წერილი ადგილობრივ მოღვაწეთა შესახებ, ერთობ ვრცელია ჩვენი გაზეთისათვის და აგრეთვე თითონ მოღვაწეთათვისაც. „ჩიტი ჰდღვნათ არ ღირდაო და დევნა მეტი იყოვო“, ამბობს ანდაზა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ შეეკითხოთ „ეშმაკის მათრახის“ ყოფილ რედაქციას და დამიმოწმოთ, რომ ს. დიდიჯიხაიშიდან გამოგზავნილი „გამოცანა“ დევნილის ფსევდონიმით და კორესპონდენცია ვლ. ლორთქიფანიძის შესახებ „გლეხის შვილი პ. ს.“ ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის. სხვათა შორის, უფალი მანუჩარ ლორთქიფანიძე ირწმუნება: „მე წერილი მივიღე რედაქციიდან, რომ ავტორი ალექსანდრე ვაშაკიძეაო“. ახლა გთხოვთ განუმარტოთ უფ. უ. ლორთქიფანიძეებს, რამდენათ მართალია მათი ბრალდება ჩემდამი.*)

ალ. ვაშაკიძე.

*) **პასუხი.** არც ერთი ზემო აღნიშნული წერილი ალ. ვაშაკიძეს არ ეკუთნის და არც მანუჩარ ლორთქიფანიძესთან „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას არავითარი მიწერ-მოწერა არა ჰქონია.

ეშმაკის მდივანი.

ყოველ-კვირეული სახუმარო ჟურნალი

მათრახი

გამოდის ყოველ კვირაობით, როცა ეს მოსახერხებელი იქნება.

წელიწადში ჟურნალი ღირს 5 მან. წლის დამლევამდე 2 მან.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი 20 კ.

ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Ред. „Матрахи“ Теофилу Ерастовичу Болквадзе.

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლაღიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—12)

იყიდება „მათრახის“ რედაქციაში „ეშმაკის მათრახის“

გასული წლის ყველა ნომრები (1—13) ერთად შეკერილი. ფასი 1 მ. 30 კ.

მსურველთ დაბა-სოფლებშიც გაეგზავნება ვინც ღირებულ ფასს გამოგზავნის რედაქტორის სახელზე.



ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ.

ᲕᲜᲐᲮᲔ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ...

ᲕᲜᲐᲮᲔ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ
ᲑᲐᲗᲣᲛᲐᲓ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ,
ᲥᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲪᲛᲔᲜᲢᲘᲗ
ᲒᲐᲣᲛᲐᲫᲒᲐᲠᲘ.
ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲥᲐᲜᲭᲐᲠᲘ
ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘ,
ᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ
ᲨᲕᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ...
ᲛᲣᲜ ᲛᲝᲡᲬᲘᲜᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ,
ᲥᲕᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲯᲐᲠᲘ,
ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲪᲘᲠᲔ
ᲛᲝᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ.
ᲓᲐ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ,
ᲫᲔᲚ ᲐᲜᲐᲙᲐᲠᲘ,
ᲗᲮᲐᲗᲐ ᲯᲝᲒᲘᲡᲒᲐᲜ
ᲛᲙᲕᲘᲓᲠ ᲐᲠᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ.
ᲕᲜᲐᲮᲔ ᲠᲐ ᲐᲒᲘ
ᲛᲓᲕᲓᲔᲚᲗ ᲜᲐᲐᲛᲐᲒᲘ,
ᲥᲕᲔᲚ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲣᲠᲘ
ᲛᲧᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲨᲛᲐᲒᲘ
ᲒᲣᲚᲡ ᲓᲐᲛᲔᲑᲐᲓᲐ,
ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲔᲑᲐᲓᲐ
ᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲒᲐᲕᲔᲪᲘ
ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐᲓᲐ.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠ ᲜᲐᲦᲐᲠᲘ
ᲓᲐ ᲔᲨᲛᲐᲙᲗ ᲯᲐᲠᲘ
ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲑᲐ
ᲡᲬᲝᲠ ᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ.
ᲜᲐᲪᲐᲓᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ,
ᲗᲐᲜ ᲒᲣᲚᲘ ᲬᲠᲤᲔᲚᲘᲗ,
ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ
ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ.
ᲐᲓᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ
ᲗᲕᲐᲚ ᲣᲬᲕᲓᲔᲜᲔᲚᲘ...
ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ
ᲔᲨᲛᲐᲙᲗᲐ ᲮᲔᲚᲘ.
ᲮᲝᲚᲝ ᲛᲝᲫᲕᲐᲠᲡᲐ,
ᲛᲣᲜ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲓᲒᲐᲠᲡᲐ,
ᲡᲜᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐ
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ ᲖᲐᲠᲡᲐ
ᲓᲐ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲘᲡᲐ,
ᲕᲘᲗ ᲨᲕᲔᲚᲘ ᲛᲗᲘᲡᲐ,
ᲠᲐᲛᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲤᲠᲝ
ᲬᲐᲒᲕᲐᲮᲐᲚᲘᲡᲐ.

ᲔᲨᲛᲐᲙᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ბ. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲑᲭᲓᲐᲒᲘ ᲐᲛᲑ. „ᲨᲠᲝᲛᲐ“ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.